

ქორნელი ქეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

GEORGIAN MANUSCRIPTS COPIED ABROAD IN LIBRARIES AND MUSEUMS OF GEORGIA

ILLUSTRATED CATALOGUE

Compiled by:
Vladimer Kekelia, Natia Mirotadze,
Thamar Otkhmezuri, Dali Chitunashvili

Editor:
Thamar Otkhmezuri

Translator:
Manana Odisheli

Editor of the English translation:
Michael Vickers

Tbilisi 2018

უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში

ილუსტრირებული კატალოგი

შემდგენლები:
ვლადიმერ კეკელია, ნათია მიროტაძე,
თამარ ოთხმეზური, დალი ჩიტუნაშვილი

რედაქტორი:
თამარ ოთხმეზური

მთარგმნელი:
მანანა ოდიშელი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:
მაიკლ ვიკერსი

თბილისი 2018

გამოცემა განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ცენტრის პროექტის – „შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრობა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში“ – ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო ხელშეკრულება – FR/308/1-20/14). წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

Published within the project of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts with financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant FR/308/1-20/14). The views and ideas expressed in the publication belong to the authors and may not represent the views of the Shota Rustaveli National Science Foundation.

ფოტოები: დიმიტრი გურგენიძე
Fotos: Dimitri Gurgenidze

გარეკანზე: ივირონის მონასტერი – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-842, 13 f', ტიმოთე გაბაშვილი, „მიმოსვლა“, XVIII საუკუნის 50-იანი წლები.

Cover: Monastery of Iviron on Mt Athos – *NCM* H-842, 13 f', Thimoty Gabashvili, *Pilgrimage*, 1750s.

ISBN 978-9941-9563-9-3

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ცენტრი, 2018
© ვლადიმერ კეკელია, ნათია მიროტაძე, თამარ ოთხმეზური, დალი ჩიტუნაშვილი, 2018

© Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, 2018
© Vladimer Kekelia, Natia Mirotadze, Thamar Otkhmezuri, Dali Chitunashvili, 2018

IN MEMORIAM
ACAD. ELENE METREVELI

Transliteration

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ē	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ჯ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ჳ
a	b	g	d	e	v	z	ē	t	i	kʻ	l	m	n	j	o	pʻ	ž	r	s	tʻ	w

უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	ჯ	ჰ
u	p	k	γ	qʻ	š	č	c	ʒ	cʻ	čʻ	x	q	ǯ	h

შინაარსი

შესავალი 9

კატალოგი

პალესტინა 28
ბითვინია 64
ათონი 66
კონსტანტინოპოლი 88
ანტიოქიის რეგიონი 106
ბალკანეთი 122

საძიებლები

ხელნაწერთა 124
პირთა 125
გეოგრაფიულ სახელთა 128

ბიბლიოგრაფია 138

CONTENTS

INTRODUCTION AND ACKNOWLEDGMENTS 19

CATALOGUE

Palestine 28
Bithynia 64
Athos 66
Constantinople 88
Antioch region 106
Balkans 122

INDEXES

Manuscripts 131
Proper names 132
Place names 135

BIBLIOGRAPHY 138

შესავალი

ქართული მწიგნობრული ტრადიცია, რომელიც სათავეს V საუკუნის დასაწყისიდან იღებს, იმთავითვე დაკავშირებული იყო ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრებთან. ქრისტიანულ სამყაროში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად ქართველი ბერ-მონაზვნები ადრეული პერიოდიდანვე მკვიდრდებოდნენ უცხოეთის მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრებში: საბაწმინდის ლავრაში (ისტორიული პალესტინა), წმ. ეკატერინეს მონასტერში (სინას ნახევარკუნძული), წმ. სვიმეონის მონასტერში (სირია, ანტიოქიის რეგიონი) და სხვ. ასევე, დაარსებული ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, მაგალითად, ივირონის მონასტერი ათონის მთაზე, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, პეტრიწონი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და სხვ., სადაც მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა – ითარგმნებოდა ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, იწერებოდა ორიგინალური ტექსტები, იქმნებოდა უძვირფასესი ხელნაწერები. საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე მწიგნობრები ყოველთვის საზრდოობდნენ საქართველოს, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრებში დაგროვილი მწიგნობრული გამოცდილებით, ხოლო უცხოეთში მიღებული ცოდნა ქართველთა განათლებასა და ინტელექტუალურ განვითარებას ემსახურებოდა. ქართველ ბერ-მონაზონთა მწიგნობრულმა საქმიანობამ უცხოეთის სამონასტრო კერებში, რასაც მუდამ თან ახლდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და ქართული პოლიტიკური წრეების უდიდესი მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თუ ლიტერატურული აზროვნებისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

ქართველთა უცხოეთში მოღვაწეობის კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მათ მიერ შექმნილი შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობაა, რომლის ძირითადი ნაწილი დღეს იმ მონასტერთა ბიბლიოთეკებშია დაცული, რომლებშიც ის იქმნებოდა, კერძოდ, ათონზე – ივირონის მონასტერში, სინაზე – წმ. ეკატერინეს მონასტერში.

XVIII-XIX საუკუნეებში გაცხოველებულმა ინტერესმა ქრისტიანული სამყაროს სიძველეების მიმართ, რასაც ზოგ შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური დაინტერესება ედო საფუძვლად, განაპირობა ევროპელი მოგზაურების, სიძველეთა მოყვარულებისა და სხვადასხვა რელიგიური თუ სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლების ხშირი სტუმრობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ ყოფილი ბიზანტიის იმპერიის სამონასტრო ცენტრებში. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სიძველეთა, მათ შორის, ხელნაწერთა გატანას ძველი ეკლესია-მონასტრებიდან. ამ პროცესის შედეგია ის, რომ ბერძნული და აღმოსავლურ-ქრისტიანული სხვადასხვაენოვანი უძველესი ხელნაწე-

რების ნაწილი, მათ შორის ქართული, დღეს რუსეთის, ევროპისა თუ ამერიკის ცნობილ ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებშია დაცული.

ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში გადაწერილი ქართული ხელნაწერების ერთი ნაწილი დღეს საქართველოში, კერძოდ, თბილისში, საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, ლიტერატურის სახელწიფო მუზეუმში, ასევე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და მესტიაში, სვანეთის მუზეუმშია წარმოდგენილი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაწერილი და დღეს საქართველოში დაცული ხელნაწერების რაოდენობა 50-მდეა. თუმცა საფიქრებელია, რომ საქართველოს კოლექციებში მათი რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ ანდერძ-მინაწერების უქონლობის გამო ჩვენ დღეს მათი იდენტიფიკაცია არ შეგვიძლია.

საზოგადოდ, ხელნაწერთა წარმომავლობის კვლევა ერთ-ერთი რთული, კომპლექსური საკითხია იმის გამო, რომ ხელნაწერებს აქვთ ერთი თვისება – ისინი ხშირად იცვლიან ადგილს, „მოგზაურობენ", ისევე, როგორც მოგზაურობენ მათი შემქმნელებიც, შუა საუკუნეების გადამწერები, შემმოსველები თუ მხატვრები. ამგვარ პირობებში ყველაზე მყარი არგუმენტები ხელნაწერთა წარმომავლობის შესახებ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებია, დანარჩენ შემთხვევაში კი მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება შემოვიფარგლოთ.

დღეს საქართველოს კოლექციებში დაცული უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების უმეტესობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან – იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან და ათონის ივერთა მონასტრიდანაა; ნაწილი – ისეთი მნიშვნელოვანი სამონასტრო კერებიდან, როგორებიცაა: საბაწმინდის ლავრა, უფლის საფლავის ტაძარი (იერუსალიმი), ხორას მონასტერი (კონსტანტინოპოლი), სვიმეონწმინდის მონასტერი (ანტიოქიის რეგიონი) და სხვ.; ხელნაწერთა ნაწილი კი ნაკლებად ცნობილ სამონასტრო კერებშია გადაწერილი; ესენია, მაგალითად, ანტიოქიის რეგიონის მონასტრები: კასტანა, რომანაწმინდა, კალიპოსი, ლერწმისხევის უდაბნო. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში დღეს დაცულია თითო-თითო ხელნაწერი კრანიის მონასტრიდან (ბითვინია, ოლიმპოს მთა, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) და პეტრიწონის ქართველთა მონასტრიდან (ისტორიული ქალაქის, სტენიმახოსის მახლობლად, დღეს – ქ. ასენოვგრადი ბულგარეთში). კვლევის დღევანდელ ეტაპზე საქართველოს კოლექციებში არ დასტურდება სინას მთაზე გადაწერილი არცერთი ხელნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი საუკუნეების განმავლობაში ქართული ხელნაწერების გადაწერის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა და მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. დღეს საქართველოში დაცული ხელნაწერებიდან სინასთან კავშირში შეიძლება დავასახელოთ სინას მთიდან ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის მიერ წამოღებული ხელნაწერი (H-2124) – 968 წელს პალავრაში (ისტორიული

პალესტინა) გადაწერილი გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომელიც ხელნაწერის ქართველმა დამკვეთმა სპეციალურად გადააწერინა სინასთვის შესაწირად.

საქართველოში დაცული უცხოური წარმომავლობის ხელნაწერები ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შემცველი უადრესი კრებულებია, რომელთა ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნის 60-70-იანი წლებია (H-2124, 968 წ., H-1346, 978 წ.); ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კი – XVIII საუკუნე. ამ პერიოდით არის დათარიღებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის ორი საერო ხასიათის ხელნაწერი: სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ (H-1658, კონსტანტინოპოლი) და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ (H-842, ათონი).

სასულიერო ხასიათის ხელნაწერებში წარმოდგენილია გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, ისააკ ასურის, იოანე სინელის, მაქსიმე აღმსარებელის, თეოდორე სტუდიელის თხზულებათა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის ქართული თარგმანები, მცირე (A-648) და დიდი (H-2211, H-1661) სვინაქსარების ექვთიმე მთაწმინდელისა და გიორგი მთაწმინდელის თარგმანები, ექვთიმე მთაწმინდელის მცირე რჯულისკანონი (A-96), თვენის როგორც ადრეული, ისე გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციები და სხვ.

ხელნაწერთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია მინიატურებით შემკულ უძვირფასეს ოთხთავებს – ანტიოქიის რეგიონში გადაწერილ ალავერდის ოთხთავს (A-484) და კონსტანტინოპოლის რომანას მონასტერში თამარ მეფისათვის გადაწერილ და ბერძენი მხატვრის, მიქაელ კორესელის მიერ მოხატულ ვანის ოთხთავს (A-1335), ასევე, თეოფილე ხუცესმონაზონისა და ეფრემ მცირის ავტოგრაფულ ნუსხებს (A-1105, S-1276).

ხელნაწერთა უდიდეს ნაწილში მასალად ეტრატია გამოყენებული. გვხვდება ადრეული პერიოდის აღმოსავლურ ქაღალდზე შესრულებული ხელნაწერებიც; ამგვარია ეფრემის ავტოგრაფული ხელნაწერი (S-1276) და ფსალმუნთა განმარტებების ეფრემ მცირისეული თარგმანი (Q-37), რომლებიც XI საუკუნის ბოლო ათწლეულშია გადაწერილი ანტიოქიის რეგიონში. მასალის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჰიმნოგრაფიული კრებული H-2123, ჭილისა და ეტრატისაგან შედგენილი ხელნაწერი (წარმოდგენილია სამ მცირე მოცულობის ტომად), რის გამოც მას სამეცნიერო ლიტერატურაში „ჭილ-ეტრატის იადგარის“ სახელით მოიხსენებენ.

უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების ანდერძებში დაცულია საყურადღებო ცნობები ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ ბიზანტიის ნაკლებად ცნობილ სამონასტრო კერებზე, როგორებიცაა, მაგალითად, დედათა მონასტრები დერტავი და დერთუფა – ისტორიულ პალესტინაში, კასტანა, რომანაწმინდა, კალიპოსი, ლერწმისხევი – ანტიოქიის რეგიონში, აგიაპანტისა და პიღურის მონასტრები – კონსტანტინოპოლში და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხელნაწერები ერთადერთი წყაროებია, რომლებშიც დაცულია ცნობები ამ ეკლესია-მონასტერთა შესახებ.

უცხოეთში გადაწერილმა ხელნაწერებმა შემოგვინახა ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე გადამწერთა, შემმოსველთა თუ მომგებელ-დამკვეთთა ათობით სახელი, რომელთა ნაწილი საკმაოდ ცნობილი პიროვნებები არიან. მაგალითად, დვალების გვარს უკავშირდება XI საუკუნის 50-იან წლებში ანტიოქიის რეგიონში უძვირფასესი ხელნაწერების, მათ შორის, საქართველოში დაცული ალავერდის სახარების (A-484) გადაწერა-გაფორმება-მოგება; დვალები 60-იან წლებში კონსტანტინოპოლში ჩანან; ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრის, სვიმეონ დვალის მიერ ბიზანტიის დედაქალაქში გადაწერილია რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის – ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში დაცული იოანე სინელის „კლემაქსი“ (A-134). ანტიოქიის რეგიონში მუშაობდნენ მწიგნობართა ცნობილი გვარის, ჯიბისძეების წარმომადგენლები ტაო-კლარჯეთიდან. მათ XI საუკუნის 50-იან წლებში ანტიოქიის რეგიონში გადაწერეს გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი დიდი სვინაქსარი (H-2211). გადამწერთა სრულიად გამორჩეულ ჯგუფს ქმნიან მთაწმინდელი მწიგნობრები – იოანე გრძელისძე, არსენ ეპისკოპოსი და იოანე ოქროპირი, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების თანამედროვენი და თანამოღვაწენი, რომელთა სახელებს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი ათონური ხელნაწერების გადაწერა; მათ შორისაა დღეს საქართველოში დაცული ივირონული ხელნაწერი – გრიგოლ დიდის „დიალოგონი“ (A-1103).

კონსტანტინოპოლში XI საუკუნის 20-30-იან წლებში გადაწერილი ხელნაწერების კოლოფონები გვაცნობს ამ ხელნაწერების მომგებელს, ზაქარიას, ტაოს ქართული არისტოკრატული საგვარეულოდან, რომელიც იყო ვალაშკერტის (სამხრეთ საქართველო, ისტორიული ბასიანი) ეპისკოპოსი, შემდეგ კი ბანას (ტაო) მამათმთავარი და სვინგელოსი. თავისი ცხოვრების ბოლო წლები მან გადასახლებაში – კონსტანტინოპოლში გაატარა. ზაქარიას უდიდესი წვლილი მიუძღვის ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანების გამრავლება-გავრცელებაში; მისი მომგებლობით გადაწერილია ექვსი ხელნაწერი, რომლებიც დღეს საქართველოშია დაცული; ამათგან ხუთი – Q-34, K-176, A-648, S-143, A-1 – კონსტანტინოპოლის პიღურის, აგიაპანტის და ხორას მონასტრებშია გადაწერილი, ხოლო ერთი – A-92 – ათონზე, ივირონში.

ჯვრის მონასტერში გადაწერილმა ხელნაწერებმა შემოგვინახა ხელნაწერთა გვიანდელი რესტავრატორების სახელები. ესენი არიან ბარნაბა თბილელი და ვლასი ურბნელი, რომლებიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ ჯვრის მონასტერში. მათ მიერ ჯვრის მონასტერში რესტავრირებულია არაერთი ქართული ხელნაწერი, რომელთა შორისაა დღეს საქართველოში დაცული შემდეგი ნუსხები: S-353, H-2336, H-1661; ხელნაწერთა განახლება-გაცხოველება, როგორც ჩანს, შემდგომშიც გაგრძელდა. 1649 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გრიგოლ დიაკონს აუკინძავს ხელნაწერი H-2339.

რამდენიმე ხელნაწერი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ისტორიული ხასიათის ანდერძ-მინაწერებსა თუ მოსახსენებლებს. მაგალითად, კრანიას ლავრაში, ოლიპოზე

(ბითვინია) 978 წელს გადაწერილი ხელნაწერის გადამწერი აღნიშნავს, რომ მან ეს სამუშაო შეასრულა:

> ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოჯრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა უწყალოდ ურთიერთას მახვლითა, ძმაჲ - ძმასა ზ(ედ)ა და მამაჲ - შვილსა ზ(ედ)ა. ესე ყ(ოველ)ი იქმნებოდა, ამას რაჲ წიგნსა ვწერდი, ხ(ოლ)ო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა, თვნიერ ღ(მრთ)ისა. ყ(ოვე)ლნივე ურთიერთას ეკუეთებოდეს სიტყ(ვ)თ და საქმით; მცირენი და დიდნი, ყოველნი იბრძოდეს (209 f°-210 f°).

ანდერძში საკმაოდ ხატოვნად არის აღწერილი ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი რთული პერიოდი – ბარდა სკლიაროსის აჯანყება ბიზანტიის იმპერატორის, ბასილი II-ის წინააღმდეგ. აჯანყებულთა დამარცხებაში, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველთა ლაშქარმა ათონზე ქართველთა მონასტრის დამაარსებლის, ჩორდვანელთა ცნობილი გვარის წარმომადგენლის, მთავარსარდალ იოანე-თორნიკეს მეთურობით. ანდერძში, რომელიც ბარდა სკლიაროსის დამარცხებამდე ერთი წლით ადრეა დაწერილი, ჩანს უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწიგნობრის შფოთვა და მღელვარება ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში 1156 წელს გადაწერილი გიორგი მთაწმინდელის „დიდი სვინაქსარი“ (H-1661) შეიცავს ჯვაროსანთა ტამპლიერების ორდენის წევრთა მოსახსენებლებს, რომლებიც ხელნაწერში შეტანილი უნდა იყოს XII საუკუნის II ნახევარში, რაც ქართველებსა და ლათინებს შორის კეთილგანწყობასა და მჭიდრო კავშირების არსებობაზე მიანიშნებს ამ პერიოდში იერუსალიმში მუსლიმთა მომძლავრების პირობებში. ამავე ხელნაწერში შემდგომ ხანებში შეტანილი აღაპები ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XV-XVI საუკუნეებში გოლგოთაზე ქართველთა უფლებების შესახებ.

კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად ჩნდება საქართველოს კოლექციებში დაცული უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების კვლევისას, შემდეგია: როგორ მოხვდა ესა თუ ის ხელნაწერი საქართველოში? რა გზა გამოიარეს ამ ხელნაწერებმა, ვიდრე საქართველოს დღევანდელ მუზეუმებსა თუ წიგნთსაცავებში აღმოჩნდებოდნენ? ამ მხრივ, ცალკეულ ხელნაწერს თავისი ისტორია, თავისი თავგადასავალი აქვს, რომლის რეკონსტრუქცია ყოველთვის შესაძლებელი არ არის, თუმცა ზოგჯერ ხელნაწერებზე დართული ანდერძებისა თუ მინაწერების მეშვეობით ეს მაინც ხერხდება.

ხელნაწერთა ნაწილი, როგორც ირკვევა, იმთავითვე იყო გადაწერილი საქართველოში გამოსაგზავნად. ამ მხრივ, საინტერესო ისტორია აქვს ბასილი დიდის „სწავლანის“ ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანის ხელნაწერს (H-2251, X საუკუნის ბოლო). მის გადასაწერად და საქართველოში ჩამოსატანად დავით III კურაპალატს სპეციალურად გაუგზავნია მწიგნობარი ათონზე. როგორც ცნობილია, ქართველი მეფეები თუ მაშინდელი არისტოკრატიის წარმომადგენლები ყურადღებას არ აკლებდნენ ივირონს და

იქ მიმდინარე მწიგნობრულ პროცესებს. ექვთიმე მთაწმინდელის ბიოგრაფის, გიორგი მთაწმინდელის შენიშვნით, დავით კურაპალატი ექვთიმეს „ზედაჲსზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს“.

როგორც ხელნაწერის ანდერძებიდან ირკვევა, ექვთიმე მთაწმინდელი და საქართველოდან ჩასული გადამწერი, იორდანე, ერთმანეთს ივირონში შეხვედრიან. აი, როგორ იხსენიებს ექვთიმე მამა იორდანეს ღვაწლს:

> რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს-იდვა და მოვიდა ქართლისა ქუეყანით საბერძნეთს, მთაწმიდას, ღმრთისათჳს თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა, და თავს-იდვა ჭირი და დაწერა წმიდაჲ ესე წიგნი... (46 f^r).

თავად იორდანე ასე აღწერს თავის მოგზაურობას შორეულ ათონის მთაზე:

> ლოცვა-ყავთ გლახაკისა ჲორდანესთჳს, შორთა ქუეყანათაგან რომელმან ვლე უთხმეოცდაათექუსმეტი დღე ვიდრე მთაწმიდადმდე (204 f^r).

უშუალოდ გადაწერისთანავე იერუსალიმიდან საქართველოში, კერძოდ, სვანეთში უნდა იყოს გაგზავნილი ხელნაწერი, რომელიც დღეს ლაჰილის ოთხთავის სახელით არის ცნობილი და მესტიაში, სვანეთის მუზეუმში ინახება. ხელნაწერის მომგებელი არიგებს მათ, ვინც ამ ოთხთავით ისარგებლებს, მოუფრთხილდნენ ხელნაწერს:

> კუამლისგან შეინახეთ, ღამითა კუარას ნუვინ მიუშვებთ (172 f^v).

ხოლო თავის ძმას, მიქაელს, ურჩევს:

> ტილოჲსა შინა შემიკრავს, ჩემო ძმაო მიქაელ, შენად სასუდრედ
> დაიმჭირე (172 f^v).

გადაწერიდან სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოში ჩამოიტანეს ალავერდის ოთხთავი – ანტიოქიის რეგიონში, კალიპოსის ქართველთა მონასტერში XI საუკუნის 50-იან წლებში გადაწერილი უძვირფასესი ხელნაწერი. ის ჯერ კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა, საიდანაც 1059 წელს ქართველმა დიდებულმა, ივანე ლიპარიტის ძემ, სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად ის საქართველოში, კაცხში (ზემო იმერეთი), თავის საგვარეულო მონასტერში ჩაიტანა.

საზოგადოდ, ანტიოქიის რეგიონში გადაწერილ ხელნაწერთა ისტორიები ცალკე განხილვის საკითხია. აქ ქართველთა აქტიური მწიგნობრული საქმიანობა XI საუკუნის 30-იან წლებიდან იწყება და დაკავშირებულია ამ რეგიონში X საუკუნის ბოლოდან ბიზანტიის გავლენის გააქტურებასა და კულტურულ აღმავლობასთან. აქ ამ პერიოდშია შექმნილი მხატვრული თვალსაზრისით სრულიად გამორჩეული ჯგუფი ქართული სახარებებისა, რომელთაგან სამი – ალავერდის (A-484), კალიპოსისა (K-76) და რუისის (A-845) ოთხთავები – დღეს საქართველოშია დაცული. ამ მწიგნობრულ კერაში ქართული ხელ-

ნაწერი ბოლოს XIII საუკუნის 10-იან წლებშია გადაწერილი (H-1791). როგორც ცნობილია, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ანტიოქიას ეგვიპტელი მამლუქები იპყრობენ. ისინი არბევენ ქალაქს, რის შედეგადაც სამონასტრო ცხოვრება ამ რეგიონში თითქმის წყდება, ნადგურდება ის მულტიკულტურული გარემო, რომელიც ორასზე მეტი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა სხვადასხვაენოვანი – ბერძნული, სირიული, სომხური თუ ქართული – კულტურისა და მწერლობის განვითარებას. გადარჩენილი ბერების ჯგუფები, მათ შორის ქართველები, ტოვებენ რეგიონს, იხიზნება ხელნაწერებიც. ამიტომაც არის, რომ ისტორიული პალესტინის, ათონისა თუ სინას ქართულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, რომლებიც სოლიდური კოლექციების სახით არის ჩვენამდე მოღწეული, ანტიოქიის რეგიონის ქართულმა ხელნაწერებმა საკმაოდ მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. მათი რაოდენობა დაახლოებით ოცამდეა და ისინი მიმობნეულია სხვადასხვა კოლექციებში. თავად ანტიოქიის რეგიონში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს, იქაური ეკლესია-მონასტრების გაუქმებისა თუ განადგურების შემთხვევაში, მათ მიერ გადაწერილი ხელნაწერების მომავალი ადგილსამყოფელი თავიანთ სამშობლოში ეგულებოდათ. აი, რას წერს მწიგნობარი ივანე ჯიბისძე:

> და რაჲ ესე ეკლესიაჲ არა იყოს, და შიგან კაცი არა იყოს, მაშინ [წიგნნი] ამის ეკლესიისაჲ შატბერდისა დიდსა ეკლესიასა დაისხენ (H-2211, 452 f^{v}).

დღეს ანტიოქიის რეგიონის 20-მდე გადარჩენილი ხელნაწერიდან საქართველოს წიგნთსაცავებში 10-მდე ხელნაწერი ინახება. საფიქრებელია, რომ ისინი XIII საუკუნეში, ანტიოქიის დაცემის შემდგომ, მალევე უნდა წამოეღოთ საქართველოში. მაგალითად, ეფრემ მცირის ავტოგრაფული ხელნაწერი (S-1276) საქართველოში უკვე XIV საუკუნეში ჩანს, რაზეც მეტყველებს მასში შეტანილი 1370-1390-იანი წლებით დათარიღებული ისტორიული ხასიათის მინაწერები. XV საუკუნეში საქართველოში, კერძოდ, სამცხეში ჩანს XI საუკუნეში შავ მთაზე, ლერწმისხევის უდაბნოში გადაწერილი რუისის ოთხთავი (A-845); როგორც მინაწერებიდან ირკვევა, ამ პერიოდში ის ყვარყვარე ათაბაგის ძის, ბაადურის ბრძანებით, მინიატურებით შეუმკია მხატვარ ანანიას.

არსებობს უცხოეთში გადაწერილი ხელნაწერების გვიანდელი, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიებიც, რომლებიც უცხოეთში მოღვაწე ქართველი საეკლესიო პირების, დიპლომატებისა თუ მოგზაურების სახელებსა და მათ პირად ისტორიებს უკავშირდება. მაგალითად, ათონის კრებული (A-558) ათონიდან ჩამოიტანა სასულიერო პირმა, ბენედიქტე ბარკალაიამ, რომელმაც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ჯერ იმოგზაურა ათონზე, ხოლო 70-იანი წლებიდან იქ დამკვიდრდა. ათონური ხელნაწერების ნაწილის საქართველოში ჩამოტანა უკავშირდება ბიბლიოფილის, მღვდელ-მონაზონ ილია ფანცულაიას სახელსაც. ის ათონზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. ხოლო 1920 წელს, როდესაც ათონის დატოვება მოუხდა, მან ივირონიდან წამოიღო ხუთი უძვირფასესი ხელნაწერი: A-1101, A-1103, A-1104, A-1105, სსლმ-12854-ხ.

ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის იმპერიის ეკლესია-მონასტრებში გადაწერილი ქართული ხელნაწერების ერთი ნაწილი საქართველოში რუსეთის გავლით მოხვდა. რუსმა მოგზაურმა და სიძველეთა მკვლევარმა, ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ XIX საუკუნის შუა წლებში წმინდა მიწაზე მოგზაურობისას იქაური მონასტრებიდან წამოიღო არაერთი უძველესი ხელნაწერი, რომელთა შორის იყო ორი ქართული. ესენია მის მიერ ეთიოპურ ხელნაწერად მიჩნეული საბაწმინდის მონასტრიდან წამოღებული ჰიმნოგრაფიული კრებული - ჭილ-ეტრატის იადგარი და სინადან წამოღებული 968 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრებას“. ორივე ხელნაწერი ინახებოდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ВЦИК) 1922 წლის 29 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ეს ხელნაწერები 1923 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცა. საქართველოში ამავე დადგენილების საფუძველზე აღმოჩნდა ოთხი უძვირფასესი ხელნაწერი (H-2336, H-2337, H-2338, H-2339), რომლებიც XIX საუკუნის 20-იან წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოიღო და რუსეთში ჩაიტანა დიპლომატმა და ბიბლიოფილმა გიორგი ავალიშვილმა.

„უცხოობიდან“ საქართველოში მოხვედრილ ხელნაწერთა ერთ ნაწილს კიდევ ერთხელ მოუწია მოგზაურობა, ამჯერად უკვე ევროპაში. უცხოეთში გადაწერილი რამდენიმე უძვირფასესი ხელნაწერი (ალავერდის ოთხთავი, ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სვინაქსარი“) 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებისას, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საქართველოდან ევროპაში გატანილ საგანძურს გაჰყვა და მხოლოდ 24 წლის შემდეგ, 1945 წელს, დაუბრუნდა საქართველოს.

კატალოგის შედგენის პრინციპები

კატალოგში წარმოდგენილია ის ხელნაწერები, რომლებიც X-XVIII საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ან ინახებოდა უცხოეთში – ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო ცენტრებში. ესენია:

- ხელნაწერები, რომელთა ანდერძებში წარმოდგენილია ინფორმაცია მათი გადაწერის ადგილისა თუ თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ.
- ხელნაწერები, რომელთა ანდერძებსა თუ მინაწერებში დასახელებულია ისტორიული მოვლენა თუ ისტორიული პირი, რომელიც უშუალო კავშირშია ხელნაწერის გადაწერის ადგილთან თუ მის ადგილსამყოფელთან.
- ხელნაწერები, რომელთა შესახებაც არსებობს დადასტურებული ინფორმაცია მათი უცხოეთიდან ჩამოტანის შესახებ.
- ხელნაწერები, რომელთა კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზისა და

სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე დადგენილია მათი წარმომავლობა (ამგვარი ხელნაწერი, ქართულ ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული კვლევის დღევანდელ ეტაპზე, მხოლოდ ერთია – S-1276).

ხელნაწერები დაჯგუფებულია წარმომავლობის, ან თავდაპირველი ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივეა, თუმცა ყოველთვის – არა. ხელნაწერთა ჯგუფები შემდეგი გეოგრეფიული არეალების მიხედვით არის დალაგებული:

- ისტორიული პალესტინა
- ბითვინია
- ათონი
- კონსტანტინოპოლი
- ანტიოქიის რეგიონი *
- ბალკანეთი

ცალკეული ჯგუფის ფარგლებში ხელნაწერები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი.

ხელნაწერები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით არის დახასიათებული:

- გადაწერის ადგილი / თავდაპირველი ადგილმდებარეობა (სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით ამ მონაცემის განსაზღვრის შემთხვევაში ხელნაწერის გადაწერის ადგილი / ადგილმდებარეობა წარმოდგენილია კვადრატულ ფრჩხილებში -[ ]);
- რაობა და თარიღი;
- დღევანდელი ადგილმდებარეობა, შიფრი;
- მოკლე კოდიკოლოგიური აღწერილობა: ფურცელთა რაოდენობა, მასალა, ფურცლის ზომა, სტრიქონთა რაოდენობა, ნაწერის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, სვეტების რაოდენობა, სვეტებს შორის მანძილი, განკანონების ტიპი Sautel-Leroy-ის *Répertoire*-ის მიხედვით (ვარსკვლავით * მონიშნულია განკანონების ის ტიპები, რომლებიც Sautel-Leroy-ის *Répertoire*-ში არ დასტურდება);
- დამწერლობის ტიპი (მთავრული, ნუსხური, მხედრული);
- მხატვრული გაფორმება (არსებობის შემთხვევაში);

---

* ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში ისტორიული ქალაქის, ანტიოქიის (ამჟამად ქალაქი ანტაკია თურქეთის ტერიტორიაზე, სირიის საზღვართან ახლოს) რეგიონში XI-XII სს.-ში მიმდინარე მწიგნობრული პროცესები „შავი მთის მწიგნობრულ სკოლად" არის სახელდებული. „შავი მთა" იმ ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებიდან მომდინარეობს, სადაც ამ მონასტერთა ნაწილი იყო განლაგებული, თუმცა ქართველთა მოღვაწეობის კვალი გარდა შავ მთად (თუ მთებად) სახელდებული მთიანი მასივისა, ჩანს ანტიოქიის მთელ რეგიონში – საკვირველ მთაზე, კასიოსის მთაზე და ა. შ. გეოგრაფიული არეალის მიხედვით ხელნაწერთა დაჯგუფებისას ჩვენ მოვერიდეთ მეტონიმს „შავი მთა" და გამოვიყენეთ გეოგრაფიული არეალის სახელწოდება „ანტიოქიის რეგიონი".

გადამწერი, მომგებელი, შემმოსველი (ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);
ანდერძი / ნაწყვეტი ანდერძიდან / მინაწერი, რომელშიც მითითებულია ხელნაწერის გადაწერის ადგილი თუ მისი თავდაპირველი ადგილმდებარეობა, ან იმგვარი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ხელნაწერის წარმომავლობის გარკვევა;
ინფორმაცია ხელნაწერის ადგილმდებარეობის ცვლილებისა თუ საქართველოში მოხვედრის შესახებ;
ბიბლიოგრაფია.

ანდერძ-მინაწერებიდან მოყვანილ პასაჟებში დაცულია ხელნაწერის ორთოგრაფია და გრამატიკული თავისებურებები; ქარაგმები გახსენილია; სასვენი ნიშნები დასმულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით.

კატალოგში ხელნაწერის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილია ხელნაწერის ერთი, ზოგ შემთხვევაში, ორი ფოტო.

კატალოგს ერთვის საძიებლები: პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, ასევე, ხელნაწერთა ინდექსი წარმომავლობისა და კოლექციათა მიხედვით, სრული ბიბლიოგრაფია.

დიდ მადლობას ვუხდით ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებმაც ყველა პირობა შეგვიქმნეს, რათა გვემუშავა ამ მუზეუმებში დაცულ ხელნაწერებზე და დაგვრთეს ხელნაწერთა ფოტოების გამოქვეყნების ნება. დიდი მადლობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, რომელმაც მოგვაწოდა ლაჰილის სახარების ფოტოები და მოგვცა მათი გამოქვეყნების უფლება.

მადლობას ვუხდით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, ნათია ხიზანიშვილს (ხელნაწერ სიძველეთა დაცვისა და აღრიცხვის დეპარტამენტი) და ციცინო გულედანს (ბიბლიოთეკა – მუზეუმის განყოფილება), რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს კატალოგზე მუშაობისას.

მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ და სომხურ ხელნაწერთა განყოფილების გამგე, აკად. ზაზა ალექსიძე და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი დარეჯან კლდიაშვილი, რომლებიც გაეცნენ ჩვენი ნაშრომის სამუშაო ვარიანტს და არაერთი სასარგებლო რჩევა მოგვცეს.

თამარ ოთხმეზური

INTRODUCTION

The Georgian literary tradition began in the 5th century of our era, and from its earliest days was closely connected with the literary traditions of monastic centres of Eastern Christendom and Byzantium. In order to establish their place in the Christian world, Georgian monks from the earliest years settled in significant monastic centres outside Georgia: in the Lavra of St Sabbas (in historical Palestine), the monasteries of St Catherine (on the Sinai peninsula) and St Simeon (in Syria, in the Antioch region), etc. They also established their own monasteries such as the Monastery of the Cross in Jerusalem, the Monastery of Iviron on Mount Athos, Petritsoni in the Balkans, where cultural and educational activities took place – significant works of Christian literature were translated, original texts created, and valuable manuscripts produced. Georgian scholars working abroad usually had literary experience gained in the monastic-scholarly centres of Georgia, especially in Tao-Klarjeti (historical south-western Georgia); at the same time their goal was to apply the knowledge and experience obtained abroad to the education and intellectual development of the Georgians. Georgian scholars working in foreign monastic centres benefited from significant support from Georgian royalty and the political elite of the country. Their activities played a significant role in the establishment of the Georgian language, in the development of religious philosophy and literary culture in Georgia.

The modern study of the literary activity of Georgians abroad is mainly based on the manuscripts created by Georgian clergy working in foreign monastic centres, that remained for the most part in the libraries of the monasteries where they were originated. A rich collection of Georgian manuscripts is now preserved in the Monastery of Iviron; the Sinai collection is housed in the library of the Monastery of St Catherine.

Interest in Christian antiquities was enhanced in the 18th-19th centuries, often prompted by political and economic incentives. European and Russian travellers, antiquarians and members of various religious and scholarly societies frequented the monastic centres of the Christian Orient and former Byzantium. They would acquire antiquities, including manuscripts from churches and monasteries. As a consequence, some of the ancient manuscripts in Greek and various oriental languages, including Georgian manuscripts, can now be found in celebrated libraries, museums and scholarly institutions of Russia, Europe and America.

Some of the Georgian manuscripts that were copied in the Christian Orient and Byzantium are now preserved in Georgia: in Tbilisi, at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts and in the State Museum of Literature, in Kutaisi in the State Historical Museum, and in Mestia in the Svaneti Museum of History and Ethnography.

There are up to 50 Georgian manuscripts that were copied abroad and which are preserved in Georgia, although we may assume that there are more such manuscripts in Georgian collections, but because of the lack of colophons and supporting information they cannot be identified.

Studying the provenance of manuscripts is a complex and challenging process, for manuscripts often change places; they "travel" in the same way that the medieval scholars, scribes, bookbinders

and artists who created the manuscripts used to travel. In such cases the most informative documents concerning the provenance of a manuscript are colophons; in the absence of the colophons we can only speculate.

Most of the manuscripts created abroad and which are today in Georgian collections belong to the Georgian monastic centres in the Christian Orient and Byzantium; they came from the Monastery of the Cross in Jerusalem, the Monastery of Romana on the Bosporus at Constantinople, and the Monastery of Iviron on Mount Athos. Others came from such important monastic centres as the Lavra of St Sabbas, the Church of the Holy Sepulchre (Jerusalem), the Monastery of Chora (Constantinople), the Monastery of St Simeon (in the region of Antioch); some manuscripts were copied in lesser known monasteries, for example: at Kastana, Holy Romana (both in the Antioch region), etc. The collection of the National Centre of Manuscripts contains single manuscripts from the Monastery of Krania on Mount Olympus, Bithynia (now in Turkey) and from the Georgian Monastery of Petritsoni (near Asenovgrad, the historical Stenimachos in Bulgaria). At this stage of research no manuscripts copied on Mount Sinai has been identified among the manuscripts in Georgian collections, although many Georgian manuscripts were created at St Catherine's Monastery, a place that maintained close links with Georgia over the centuries. Only one manuscript can be identified in connection with Sinai, namely the *Life of John Chrysostom* by George of Alexandria (*NCM* H-2124), which was brought from Sinai in the middle of the 19th century by Bishop Porphyry Uspenski; the manuscript was copied in 968 at St Chariton's Lavra – Palavra (in historical Palestine) and was commissioned by a Georgian benefactor to donate to St Catherine's Monastery on Sinai.

Manuscripts with a foreign provenance in Georgian collections contain the earliest translations of ecclesiastical literature, dating as early as the 960s and 970s (*NCM* H-2124, 968, *NCM* H-1346, 978). The latest manuscripts belong to the 18th century; they are of a civil character: *A Lexikon of the Georgian Language* by Sulkhan-Saba Orbeliani (*NCM* H-1658, Constantinople) and *Pilgrimage* by Thimothy Gabashvili (*NCM* H-842, Iviron).

Ecclesiastical literature is represented by the works of the following writers: Gregory the Theologian, Basil the Great, John Chrysostom, Isaac of Syria, John of Sinai, Maximus the Confessor, Theodore the Studite, and others. Their works were mostly translated by well known Georgian scholars Euthymius and George the Hagiorites, Ephrem Mtsire, Theophilus the Hieromonk; collections such as the *Small* (*NCM* A-648) and *Great* (*NCM* H-2211, H-1661) *Synaxaria* by Euthymius and George the Athonites, the *Small Nomocanon* (*NCM* A-96) by Euthymius the Hagiorite, an early (*NCM* H-2337) and George the Hagiorite's redactions of the *Menaia* (*NCM* H-2336, *NCM* H-2339, H-2338), the *Apophthegmata* translated by Theophilus the Hieromonk (*NCM* A-1105), etc.

The most outstanding manuscripts are some extremely valuable illuminated Gospels: the *Alaverdi Gospel* (*NCM* A-484), copied at the Monastery of Kalipos in the Antioch region, and the *Vani Gospel* (*NCM* A-1335), copied at the Romana Monastery in Constantinople, commissioned by Queen Tamar and illuminated by the Greek artist Michael of Coressus; also

the autograph manuscripts belonging to Theophilus the Hieromonk (*NCM* A-1105) and Ephrem Mtsire (*NCM* S-1276).

Most manuscripts are on parchment; some manuscripts are written on ancient oriental paper, for example, the autograph manuscript of Ephrem Mtsire (*NCM* S-1276) and the manuscript containing the *Commentaries on the Psalms* (*NCM* Q-37) by Ephrem Mtsire, dated to 1091, both written in the Antioch region. The *Collection of hymns – Iadgari* from the Monastery of St Sabbas (*NCM* H-2123, three small volumes), dated to the beginning of the 10th century is made of parchment as well as papyrus, an unusual material for that time, and consequently known as the *Papyrus-Parchment Iadgari* in the scholarly literature.

Colophons preserved in manuscripts copied abroad contain important information about the lesser known monastic centres of the Christian Orient and Byzantium, such as the convent of Dertavi and Dertupa in historical Palestine, Kastana, Holy Romana, Kalipos, the Monastery of Reed Valley in the region of Antioch, Agiapanti and Pighuri in Constantinople. The Georgian manuscripts are the only sources to preserve information about these monasteries.

Colophons of manuscripts copied abroad also preserved the names of dozens of Georgian scribes, bookbinders, and benefactors. Some of them were prominent persons, such as the Dvali family, who were involved during the 1050s in creating precious manuscripts in the Antioch region, including the *Alaverdi Gospel* (*NCM* A-484), now held in Georgia. It was commissioned, copied, and illuminated by Dvali family members. They appear in Constantinople in the 1060s. Simeon Dvali copied several manuscripts in the capital of Byzantium. Among them was the manuscript of *the Ladder* by John of Sinai (*NCM* A-134), now preserved in the National Centre of Manuscripts. Members of the Jibisdze family from Tao-Klarjeti were actively involved in manuscript production in the Antioch region. The *Great Synaxarion* (*NCM* H-2211) translated by George the Hagiorite was copied by them in the 1050s. The most outstanding group of scribes were scholars from Mt Athos: Ioane Grdzelisdze, Arseni the Bishop and Ioane Oqropiri, who worked at Iviron at the same time as John and Euthymius the Hagiorites and collaborated with them. They copied the most important manuscripts on Athos; among them is the Iviron manuscript which now is held in Georgia: the *Dialogorum Libri* (*NCM* A-1103) of Gregory the Great.

Colophons of manuscripts copied in Constantinople in the 1020s and 1030s mention the benefactor Zacharia, from the Georgian aristocratic family of Tao. He was the Bishop of Valashkerti (Basiani, the historical province of South Georgia); later he became the Bishop of Bana and Syngelos. His later years were spent in exile in Constantinople. Zacharia was instrumental in copying and distributing translations made by Euthymius the Hagiorite. He commissioned six manuscripts, now held in Georgia, five of which (*NCM* Q-34, K-176, *NCM* A-648, *NCM* S-143, *NCM* A-1) were copied in Constantinople, the sixth manuscript (*NCM* A-92) was copied at the Monastery of Iviron on Mount Athos.

Manuscripts copied at the Monastery of the Cross in Jerusalem have preserved the names of later book restorers: of Barnaba Tbileli and Vlasi Urbneli, who worked at the Cross Monastery in the second half of the 16th century and restored several Georgian manuscripts there; among them

were the manuscripts now preserved in Georgia: *NCM* S-353, *NCM* H-2336, *NCM* H-1661. It seems that conservation and renewal of manuscripts continued in the Cross Monastery in the later period as well; in 1649 Grigol the Deacon rebound the manuscript *NCM* H-2339.

Some manuscripts contain colophons with important information of an historical nature. For example, a manuscript copied in the Lavra of Krania, on Mt Olympus in Bithynia, in 978 (*NCM* H-1346), has a colophon by the scribe concerning the situation in Greece at the time he was copying the manuscript:

> Bardas Skleros rebelled promptly, Greece was in great turmoil, when the poor were ravaged and youngsters destroyed, brothers went against brothers and fathers against sons, killing each other mercilessly with swords; when all this was happening, I was copying this book and nobody but God knew who would be victorious, everybody attacking each other with words or deeds, large and small, everyone was fighting (209 f°-210 f°).

The colophon describes quite vividly one of the most troubled periods in the history of the Byzantine Empire, namely the rebellion of Bardas Skleros against the Byzantine Emperor Basil II. As is well known, the involvement of the Georgian army on the Emperor's behalf determined the outcome of the conflict and the rebels were defeated. The leader of the Georgians was the commander-in-chief Ioane-Tornike, from the prominent Chordvaneli family of Tao-Klarjeti, and the founder of the Monastery of Iviron at Athos. The colophon was written a year before Bardas Skleros' defeat and shows the anxiety of the Georgian scholar working abroad concerning the prevailing unrest in the country.

The manuscript containing the *Great Synaxarion* (*NCM* H-1661) of George the Hagiorite, copied in the Monastery of Cross in Jerusalem in 1156, contains commemorations of members of the Crusader knights Templar that were probably added to the manuscript in the second half of the 12th century. It indicates good relations between Georgians and Latins at a time when Muslims became quite powerful in Jerusalem. The same manuscript also contains the agapes of a later period, that include important information about the rights of the Georgians at Golgotha in the 15th-16th centuries.

A question that frequently arises during research on manuscripts copied abroad and held in Georgian collections is how they ended up in Georgia. It is a fascinating task to trace the journeys these manuscripts took before they appeared in museums and libraries in Georgia. Every manuscript has its own history and adventures, which are challenging to reconstruct. In some cases, however, it is possible to do so with the help of the colophons and inscriptions appended to the manuscripts.

Research reveals that some manuscripts were copied in order to be sent to Georgia. The *Teachings* of Basil the Great translated by Euthymius the Hagiorite in the late 10th century (*NCM* H-2251) is noteworthy in this aspect; David III Kouropalates himself had thought of sending a scribe to Athos to copy and bring the resulting manuscript to Georgia. Kings of Georgia and

members of the aristocracy took a special interest in the Monastery of Iviron and facilitated scholarly activities there. George the Hagiorite, the biographer of Euthymius the Hagiorite, noted that David Kouropalates used to write to Euthymius and encouraged him to translate and send books to Georgia. We learn from the colophon that Euthymius the Hagiorite and the scribe Iordane, who came from Georgia, met each other in the Monastery of Iviron. This is how Euthymius described the merit of father Iordane:

> He took a laborious task and came from Kartli to the country of Greece, to the Holy Mountain, firstly for the God's sake and then because David, King of the Georgians ordered him to do so, and he took upon himself the hardship of copying this holy book...(46 f°).

Iordane himself described his journey to the distant land of Mount Athos:

> Pray for me, poor Iordane, who walked from the far away country ninety-six days before reaching the Holy Mountain (204 f°).

The *Lahili Gospel* (*Svaneti Museum* 620, ჯ-75) which is now held in the Museum of Svaneti in Mestia seems to have been sent from Jerusalem to Svaneti immediately after being copied. The benefactor of this manuscript addresses to those who will benefit from using the manuscript and asks them to cherish the Gospel and to take good care of it:

> Keep it away from smoke and at night avoid a lamp near it (172 f°).

He suggests to his brother Michael:

> I wrapped it in a cloth. My brother Michael, use it as a shroud (172 f°).

The *Alaverdi Gospel* (*NCM* A-484) was brought to Georgia soon after it was copied in the region of Antioch at the Georgian Monastery of Kalipos in 1050s. It first appeared in Constantinople and was transferred from there to Georgia in 1059 by a member of a Georgian aristocratic family, one Ivane, son of Liparit. He donated the manuscript together with other treasures to his family Monastery of Katskhi (in upper Imereti).

The manuscripts copied in the region of Antioch merit special study. Georgian ecclesiastical scholars began their activities in this region in the 1030s, as a result of increased Byzantine influence from the end of the 10th century onwards. This gave a great impetus to scholarship and to cultural and literary activities in the region. In this period the most outstanding Georgian Gospels were produced there: the *Alaverdi Gospel* (*NCM* A-484), the *Kalipos Gospel* (K-76) and the *Ruisi Gospel* (*NCM* A-845), all now held in Georgia. The last manuscript in Georgian was copied in the Antioch region in the teens of the 13th century (*NCM* H-1791). The Antioch region was captured by Egypt in the second half of the 13th century and ruled by the Mamluks, who had devastated the city of Antioch; as a consequence, monastic life almost ceased to exist.

The multicultural environment that had existed in this region for more than 200 years, and which enriched the interaction and development of Greek, Syrian, Armenian and Georgian cultures and literary traditions, was destroyed. The surviving Georgian monks among others, abandoned the region and sought refuge elsewhere. A few manuscripts were taken to safety, which explains why, unlike Georgian manuscripts from historical Palestine, Mount Athos, or Sinai, Georgian manuscripts from the Antioch region survive today in much fewer numbers. The Georgian scholars who worked in the monasteries of Antioch believed that if a disaster should occur in Antioch, then the manuscripts they had copied should be taken to their motherland, Georgia. The scribe Ivane Jibisdze wrote:

> If this church ceases to exist and no man is left here, in such a case [the manuscripts] from this church should be given to the great church of Shatberdi (*NCM* H-2211, 452 f^{v}).

Of the surviving manuscripts copied in the Antioch region, as many as ten are held in Georgian collections (some of them are also in the Sinai, Jerusalem and Iviron collections). They were presumably taken to Georgia soon after the fall of Antioch. The autograph (*NCM* S-1276) of Ephrem Mtsire, for example, copied in the region of Antioch in the last decade of the 11th century, already appeared in Georgia in the 14th century, attested by later inscriptions containing information about historical events that occurred in 1370-1390. In the 15th century Samtskhe (southern region of Georgia) already possessed the *Ruisi Gospel* (*NCM* A-845), that had been copied in the 11th century on the Black Mountain in the Antioch region, in the Monastery the Valley of the Reeds. The colophon tells us that at that time the manuscript was embellished with illuminations by the artist Anania, commissioned by the benefactor Baadur, the son of Kvarkvare Atabagi.

